№ 49

სამშაბათი, 7 მარტი, 1900 წ.

ბაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 49

სამშაბათი, 7 მარტი, 1900წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

ბაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## სახალხო სეირნობა

### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ". განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## ტფილისის სობრანიე.

შაბათს, 11 მარტს, 1900 წ. გაიმართება

## კ ო ნ ც ე რ ტ ი
## კ. ფ. გურამიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ ი. მ. მატკოვსკი და მ. ვ. სერბულოვი. როიალი ბეკკერისა.

ბილეთები ისყიდება მირიმანიანის სამუსიკო მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზედ. (4—65—2)

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 9 მარტს

ქართულ დრამატიულ დასის არტისტებისაგან ბ-ნ ალექსი მესხიშვილის და ქ-ნ ჩხეიძის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

## ცხოვრების გმირი

დრამა 3 მოქმედ.

დ ა ს ა ს რ უ ლ

## დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

ბილეთები ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, წარმოდგენის დღეს—თეატრის კასაში. (3—უ.—2)

გამგეობა გურიის ამხანაგობის

## „შუამავალისა"

აცხადებს, რომ ამხანაგობის წევრებმა 1899 წლის დივიდენდის მისაღებად უნდა მოაკითხონ ოზურგეთსა და ლანჩხუთში ამხანაგობის კანტორაში, ან გამოჰგზავნონ თავიანთი ადრესი და გაეგზავნებათ საფოსტო ხარჯის გამორიცხვით.

არა სრულ წევრთ განეგრძო ვადა კიდევ ექვს თვემდის; ვინც ამ ვადის განმავლობაში არ შეავსებს წილის ფულს სრულიად, გამოირიცხება ამხანაგობისაგან.

იმ წევრთ, რომლებზედაც ითვლება ნისია, კიდევ განეგრძოთ შემოტანის ვადა ამა წლის ივლისის დამლევამდის, შემდეგ-კი გამოირიცხებიან. (3—62—1)

მმართველი ს. ქეიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ქ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ბ. ბურკო. 1½—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ვ. მ. მახვილაძე—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

ბ. ბ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

მ. ლ. მარკევიჩი—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

## ახალი ამბავი

*** შაბათს, 4 მარტს, თავ. ზაქ. ერისთავმა ნატარიალურის წესით გარდასცა ხაზინას თავისი ოძისის მამული, სადაც სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი უნდა დაარსდეს.

*** ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წინადადება შეიტანა გამგეობაში იმის შესახებ, რომ საჭიროა გადიდებულ იქმნას დროებით ქალაქის მიწების გეგმების შემდგენ მზომავთა შტატები, რადგანაც ქალაქის მიწების გასაწეს-რიგებლად არ კმარა ამ მოხელეთა ეხლანდელი რიცხვიო. გამგეობამ დაადგინა მოიწვიონ კიდევ ერთი მოხელე დროებით.

*** ქალაქის გამგეობამ, ქალაქის მოურავის წინადადების თანახმად, დაადგინა მიენდოს ქალაქის წყლის მილის გამგე ინჟენერს ჩიკოლინს წარუდგინოს გამგეობას პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა დიდუბეში ახალის ონკანის გასამართავად.

*** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, სახალხო განათლების სამინისტროს განუმარტავს, რომ სამო-

## ფელეტონი

### წერილები ინგლისიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

I

პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაჭირვება

(წინასიტყვაობასავით)

ინგლისი, ეს მცველი და მფარველი წვრილ სახელმწიფოთა და ერთა უფლებებისა და დამოუკიდებლობისა, მოთავე (გაიხსენეთ ვილბერფორსი) მონობის მოსპობისა; ეს თავისუფალ აზრისა და სიტყვის წარმოთქმის მიმნიჭებელი როგორც საკუთარ მოქალაქობისა, აგრეთვე იტალიისა, საფრანგეთისა უნგრეთისა და სხვა სახელმწიფოთა განდევნილ მამულიშვილთათვის, უეცრად იარაღს ისხამს და ომს უცხადებს, სასტიკს, „დამღუპველს", „გამანადგურებელს"*) ომს ბოერების პატარა რესპუბლიკას.

— როგორ მოხდა ეს?—ჰკითხავენ თავიანთ თავს ჰუმანიზმისა და პროგრესის მომხრენი,—როგორ მოხდა, როდესაც სულ ორ წელზედ ნაკლებია მას შემდეგ, რაც ვიგლოვეთ ჩვენი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე გლადსტონი, იმისს კუბოზედ წარმოთქმულ სიტყვებში სიამაყით ჩამოვთვალეთ სახელმწიფონი და ერნი, საბერძნეთიდგან და იტალიიდგან დაწყებული და ბოლგარიითა და იონიის კუნძულებით დასრულებული, რომელთა აღორძინებასა და პოლიტიკურად განვითარებას ხელი შეუწყო კანინგის, როსსელის და განსაკუთრებით გლადსტონის პოლიტიკამ? ჩვენ არ ვიყავით, თავ-მომწონედ ვაცხადებდით, რომ გლადსტონმა გააკეთილშობილა ჩვენი პოლიტიკაო? და აი უეცრად ყველა ეს დავიწყებას მიეცა! დავიწყებულ იქმნა ტრადიცია, რომელმაც ინგლისს სახელი და დიდება მოუპოვა მე-XIX საუკუნეში!

დაივიწყეს არამცთუ ტრადიცია სახელმწიფო მოღვაწეთა, არამედ ამ მოღვაწეთა ნამოქმედარისა და პოლიტიკის წინააღმდეგ ამასაცა ჰყვირიან ახალ იმპერიალიზმის მოსყიდულ ჟურნალ-გაზეთობის ვიგინდარა პუბლიცისტები:—„გლადსტონის, გრენვილის და გრეის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ბოერები არ იქმნენ განადგურებულნი 1881 და 1886 წელსაო. იმათ რომ მაშინ რესპუბლიკისთვის თავისუფლება არ მიენიჭებინათ და იდეალურ, გაცვეთილ ჰუმანიზმის ნაცვლად იმპერიალისტების ჩემბერლენის, მილნერის და კიტჩინერის მხნეობა გამოეჩინათ, დღეს ხელ-ფეხი აღარ შეგვეკვრებოდაო, აღარც ტრანსვაალი იქნებოდა და აღარც ომი მოხდებოდაო".

ასე ჰლაპარაკობენ ახლად გამომცხვარნი ბრძენნი, ასე სწერენ კაპიტალიზმის ჟურნალისტები, ჰყვირიან ქუჩებსა და ყავახანებში უზომოდ მადა აღძრულნი ლონიერ მუშტიანნი და სხვათა ქონებაზედ თვალ-გაჭყეტილნი. ხოლო ამათ ბანს აძლევს ბრბო, ნახევრად მშიერ-მწყურვალი, საექვო მიკიტანხანების განუყრელი სტუმარი, და ყველა ისინი, რომელნიც სამალავებიდგან თავს დღის სინათლის და საზოგადოებრივ ცხოვრების ჩამობნელებისას გამოჰყოფენ ხოლმე... ხოლო ამ ჟამად ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას, თვით-ცნობიერებას რომ სიბნელის ფარდა გადაეფარა, ეს ყოველს ეჭვს გარეშეა. საღაც მიიმალა პოლიტიკურ დასების ნათლად გარკვეული პროგრამები, ფორმულები და დროშები, და მათ ნაცვლად თვალ-წინ გეჩხირება ყველა ის, რაც უფრო უაზრო, უნიადაგო და უსახურია.

— ის გოლიათები, რომელთაც შეჰქმნეს ჩვენი სახელი და დიდება, განშორდნენ სამოქმედო ასპარეზს!—მოწყენილის კილოთი იმეორებენ წყნარნი და მშვიდობის მოყვარენი. გლადსტონის ადგილას გამოცოცდა ყველას გამცემელი ჩემბერლენი; კეთილ შობილ გრეის ადგილი დაიჭირა ბრიყვმა მილნერმა, ხოლო კობდენისა—ავანტიურისტმა და მძარცვავმა სესილ როდსმა; დარვინისა, მილლისა, დიკენსის ნაცვლად გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზედ უნიჭონი, რომელთაც თავიანთი კალმები ოქროს ტომრის მეფეებს მიჰყიდეს! კარლეილი, მორრისი, ამ დღეებში გარდაცვალებულნი მოხუცნი მარტინო და როსკინი, გოლიათთა უკანასკნელი წარმომადგენელნი, უმემკვიდროდ დარჩნენ. ამ გოლიათების მაგიერობას ჩვენს გონებრივსა და ზნეობრივს ცხოვრებაში ველარავინა სწევს... ჩვენი ერი გადაშენების გზას დაადგა ქვეყნის ძარცვა-გლეჯის გამო. სხვა ერთ ვეზიღებით და თავისუფლებისა და პროგრესის მოყვარე ინგლისს კარს მიადგა დაცემისა და განადგურების ხანა!..

უკეთეს მამულისშვილთა ამ გვარს გოდებას დასასრული არა აქვს.

მაგრამ საფუძველი-კი აქვს ამ კეთილშობილ კაცთა გოდებას? ნუთუ მართლა ისე გაუკაცურდა ინგლისი, რომ აღარ მოიპოვებიან ჰუმანიზმისა, მეცნიერებისა და პროგრესის კაცნი? იქნება ეს გაჭირვება გაზვიადებულია ევროპის კრიტიკოსთა და თვით ინგლისის პესსიმისტთა მიერ?

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ აწ დღე ყოველ მომხდარნი ამბავნი თვით ინგლისსა და სამხრეთ აფრიკაში მეტად ფერადის სურათებით გვიხატავს პოლიტიკისა და საზოგადოებრივის ცხოვრების მდგომარეობას. უსარგებლო, უსამართლო და გამნადგურებელმა ომმა სამხრეთ-აფრიკისამ გამოააშკარავა ხალხის სასეიროდ გამართულ აღლუმებისა და სალონის გენერალთა სრული უნიჭობა. ჩუმმა, იდუმალმა მზადებამ ომისათვის ნათელ ჰყო, რომ აწინდელნი მმართველნი და ჟურნალ-გაზეთობა მოსყიდული ჰყავთ საერთა შორისო კაპიტალიზმის მდიდარ მძარცვავთა და ბანკირებს; კამათმა პარლამენტში დაგვანახვა სრული უუნარობა კონსერვატორთა უმრავლესობისა, რომელიც მხარს უჭერს სალისბიურს, ჩემბერლენს, ბალფურსა და ლორდ

*) ასე ეძახიან ამ ომს აქაური გატაცებულნი „მამულიშვილნი" „ჯინგო"-ნი „ყვითლად" წოდებულ მოსყიდულ ჟურნალ-გაზეთობისანი.

წავლო ოლქის უფროსებს შეუძლიანთ ნება დართონ საკვირაო სკოლების დაარსებისა კერძო სასწავლებლებთან, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ თვალყური ამ საკვირაო სკოლებს მთავრობის სასწავლებელთა უფროსებმა უნდა ადევნონ.

*** როგორც გაზეთები იუწყებიან, აზრადა აქვთ სახაზინო პალატების ეხლანდელი შტატები შესცვალონ. ამის შესახებ პროექტს ფინანსთა სამინისტრო განიხილავს ამ მიმდინარე თვეში. განზრახულია მოხელეებს ჯამაგირები მოუმატონ.

*** როგორც „ცნობ. ფურც.“-ს გაუგონია, გორის მაზრის რამდენსამე მემამულეს განუზრახავს დააარსონ ყველის მკეთებელთა ამხანაგობა.

## წერილი რაჭიდგან

ჩვენი პაწია დაბა თანდათან იზრდება, თანდათან მატულობს და ღონიერდება. სულ მოკლე ხანში აქ ისეთ მშვენიერ გეგმაზე აგებული შენობები წამოიჭიმა, რომ მნახველი განცვიფრდება. ასე გასინჯეთ, აბანოსაც-კი გვიკეთებენ. დიახ დაბა ონი აღარ ხუმრობს და კარგადაც მიდის მისი საქმე. მაგრამ ცალკე ბუგეულელები და ცალკე ამბროლაურელები სულით და გულით სცდილობენ დაბა ონს ფეხი აუდგან. კვეხნა მუქარით რომ ვერას გახდნენ, ლექსებით უნდათ მიიზიდონ:

„რაჭის დაბა, კოხტა ონო,
პაწაწა ქალაქუნაო!
რატომ თავს პატივს არა სდებ,
ქვე რათ ხარ ქალაჩუნაო?
ქვე რა გინდა ღრიანკელში,
თოვლით დაბურულ მთებშიო,
რას უდგეხარ, ან რათი სძლებ
მაგ ძუნწუტ მთიულეთშიო?
ნუ თუ ყიფიანის ღვინოს
სცვლი მთიულების თხებშიო;
ან აქაურ იფქლივით პურს
მანდაურ ფშუტა ქერშიო?
თუ ჭკუა გაქ, გაგვიგონე,
ზემო რაჭის ქალა-მზეო:
აწ ქვემო რაჭას გვეწვიე
ბუგეულის ჭალაზეო.“

მაგრამ ონი მაინც უარს უთვლის: „თქვენს თხოვნაზე მეცინება ძალიან, ვერ ვასრულებ, რადგან არა მცალიან“-ო. რაჭველები ნეტარებით იგონებენ თავად ჯანსუღ დადეშქელიანის მაზრის უფროსობის დროს და კვლავ მასვე შესტირიან საშველად:

„გვიშველე რამე, ჯანსუღო,
ჩვენო ლხინო და შვებაო!
უსამართლოდ ვიტანჯებით,
ჯავრით გული გვისკდებაო“.

ონის სამკითხველო სანატრელს მდგომარეობაში ვერ არის: საცოდავს ინფლუენცია შეჰყრია და გულსაკლავად გამოწუწუნებს კარ გამოკეტილ ოთახიდგან:

„ონელებო, კმარა ლხინი!
გეყოფათ სიმთა ჟღერაო,
წარა-მარად ნუნუას სმა,
სკვინჩაობა და მღერაო.
მოიხედეთ, ღმერთს შეჰხედეთ,
მადლი ჰქენით სასახელო,
და ეცადეთ, უწამლობით,
არ მოგიკვდესთ სამკითხველო!“

რივნის თაველი

## კახური ვარდის ზეთი

ამ დღეებში გაზეთებმა მოგვიტანეს ახალი ამბავი, 24 თებერვალს პეტერბურგში მომხდარა საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, სადაც ა. ი. ბაზაროვს წაუკითხავს საინტერესო მოხსენება: „ვარდის ზეთის გამოხდის შესახებ კახეთში“. ეს ამბავი იმითი კი არაა გასაკვირველი და სასიამოვნო, რომ ამას იქით კახური ვარდის ზეთიც გვექნება, არამედ იმითაა გასაკვირველი და სამწუხაროც, რომ აქამდე არავითარს ყურადღებას არ აქცევდნენ ჩვენში სასარგებლო მცენარეთა კულტურას. ახლა მიხვედრილან ჩვენი სწავლული აგრონომები, რომ ალაზნის ხეობა მშვენიერი ადგილია ვარდის ბუჩქის მოსაშენებლადაო. თქვენ დალოცვილებო და რომელი ადგილი-და არ ვარგა?! მთელი საქართველო შეიძლება ათიოდე წელიწადში ვარდის წალკოტად გადააქციოთ—ივრის ხეობა-კი არ ვარგა? მტკვრისა, არაგვისა, ქსნისა, ტანასი, ლიახვისა, ფოცხოვისა, რიონისა, ცხენის წყალისა, ყვირილასი, ჭოროხისა? მიიხედ-მოიხედეთ საქართველოში—გარეულად, თავის თავად ყველგან იზრდება და მცენარეობს რამდენიმე ჯიშის ვარდი, უფრო-კი Rosa centifolia და Rosa gallica, სამშობლო ამ ორ გვარ ვარდისა საქართველოა. მეცნიერები ვაზის შესახებ ამბობენ: начальная родина vitis vinifera (ვაზი), безъ сомнѣнія, Кавказскія страны“. ესევე ითქმის ვარდის შესახებაც, მთელს კავკასიაში რომელიღა ქვეყანაა დალოცვილი ჰავითა და ბუნებით, თუ არ საქართველო, სადაც ვაზი, ვარდი, ლეღვი, ბროწეული, წაბლი და მრავალი ამ გვარი თბილის ჰავის მცენარე გარეულად თავის თავად ტყეში იზრდება, კიდეც ეს ბუნების სიმდიდრე იყო მიზეზი, რომ საქართველომ ოცს საუკუნეზედ მეტი გაუძლო ოთხივ კუთხივ მებრძოლ მოსულ მტერს. ქართველის კაცის გაჭირვება წელიწადში სამი თვეა: გიორგობა, ქრისტეშობა და იანვარი და ამ დროს მტერიც ვერა ჰბედავდა შემოსევას. დანარჩენ დროს ცხრა თვის განმავლობაში მტრისა არ ეშინოდა, თუ ბარში ვეღარ გაუმაგრდებოდა, გაიხიზნებოდა მთაში და ჩემმა ღმერთმა შიმშილი უხამდა ძალას—ყოველი ტყე მზად უხვედრებდა ყოველ ნაირ მხალს, სოკოს და ხილს. ჯერ დღესაც, შიმშილობის დროს, ქართველ კაცს ბუნების სიმდიდრე,—მინდვრისა და ტყის მხალი და ხილი აძლებინებს.

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს პირდაპირ საგანს:

მაშასადამე საკვირველი-კი არა, სასაცილოა, რომ აქამდე არამთუ ჩვენს მემამულეებს ქართულად ეძინათ და არ ცოდნა არ ცოდვათი იმართლებდნენ თავს, ეძინა ჩვენს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებასაც, რომელიც მოვალეა გზა უჩვენოს უმეცარ ხალხს. თორემ აბა რაა, ეხლანდელი ქართველი ემსგავსება კაცს, რომელიც თვალ მარგალიტში ჰზის და მშიერი-კი კვდება.

იქნება ახლა-კი გარიგდეს რამე. აგერ ცოცხალი მაგალითი თვალ-წინ გვაქვს. საუფლის წულო უწყებას 1998 წ. კახეთში დესეტინა ნახევარზედ გაუშენებია ვარდის ბუჩქი. მეორე წელსვე, ე. ი. შარშან, მოუკრეფია 60-მდე ფუთი ვარდის ყვავილი, რომლისაგანაც გამოუხდიათ 75 მისხალი ვარდის ზეთი (მისხალი ღირს 2 მან.) და 14 ფუთი ვარდის წყალი (ფუთი 12 მანეთად გაუყიდიათ). ესე იგი დესეტინა ნახევარი მიწა მეორე წელსვე ოცდაათ თუმანს იძლევა! საუფლისწულო უწყებას დაუდგენია კიდევ ოთხ დესეტინაზედ გააშენოს ვარდის ნერგი. ჰაი, ჰაი რო გააშენებს? მერე იცით, ვარდს რა ადგილები უნდა? სადაც გუთანი ვერ უდგება, იქ ვარდი დარგეთ, მორჩა და გათავდა. მხოლოდ ის-კი უნდა მოგახსენოთ, რომ ზეთის გამოსახდელად განგებ უნდა მოაშენოთ მუშკის ვარდი Rosae moschata, Роза мускусовая და მოვლაც, რასაკვირველია, უნდა, რომ თამამმა და ღონიერმა ყლორტმა ყვავილიც სრული და მსხვილი გამოიტანოს. ამ ჯიშის ვარდს კახეთში იშოვით საუფლისწულო მამულში და დიდის სიამოვნებით ნერგსაც მოგცემენ დადარიგებასაც,—„გული გულობდეს, თორემ ქადა ორის ხელით იჭმევაო“, ან ტფილისში მიმართეთ სამეურნეო საზოგადოებას, რომელიც მოვალეა ამის შესახებ ყოველივე ცნობები მოგცეთ. თუ არა და განა არ შეგიძლიანთ ბოლგარიიდგან გამოიწეროთ.

ამ ჟამად დიდძალ ვარდის ზეთსა ჰხდიან ბოლგარიაში. ბალკანეთის მთის სამხრეთ ფერდოებზედ (აღმოსავლეთ რუმელიაში) გაფანტულია 150 სოფელი და მთელი ხეობა მდინარე თუნჯისა ვარდის წალკოტად არის გადაქცეული. ვარდის ყვავილს სისხამ დილის, მზის ამოსვლამდე ჰკრეფენ, იმიტომ რომ ცვრიანი ვარდი უფრო მეტს შეიცავს ეთერიან ზეთს; მზის სხივები-კი გარეთ იწვევს სურნელებას და ავრცელებს არე-მარეში. დაკრეფილ ვარდს მ რე არჩევენ ისე, როგორც ჩვენ ვარჩევთ ხოლმე სამურაბედ, ე. ი. კუნწალიან და მხოლოდ ფურცლებს ჰხმარობენ, მერე შემოსდგამენ საარაყე ქვაბებს, ჩაასხამენ წყალს, ჩაჰყრიან შიგ დარჩეულ ვარდს, დაჰხურავენ ხუფს, შეუკეთებენ ცეცხლს და არაყივით ხდიან. გამოხდილი წყალი მოიტივტივებს ხოლმე ზეთს, ე. ი. ნაღებსავით მოიგდებს პირზედ. ამ 150 სოფელში სამი ათასამდე საარაყე ქვაბი მუშაობს, ყოველ წლივ ხდიან ორას ფუთზე მეტს ვარდის ეთერიან ზეთს, ორის მილიონის მანეთისას.

ვარდის ზეთს ნამდვილს და საუკეთესოს ბოლგარიიდგან ისტუმრებენ კონსტანტინეპოლში თუნუქის ჭურჭლით, ან ბოთლებით დაბეჭდილს, ამ ქალაქში ამ ხალასს ზეთს უეჭველად მონათლავენ ხოლმე, ე. ი. შეურევენ სპერმაცეტს (Spermacetum), პარაფინს ანუ სხვა რამ იაფ ზეთს იდრი ალს, რომელიც ბომბეიდგან მოაქვთ, ამის შემდეგ ოქროს ვარაყიან პატარა შუშებში ასხმენ და ჰგზავნიან მთელის ქვეყნის ბაზრებში.

ვარდის ზეთს დიდი გასავალი აქვს, გირვანქა ოცი თუმანი ყოველთვის ჰღირს, თუ ნამდვილია. აფთიაქებში ვარდის ზეთს ხმარობენ, როცა უნდათ წამალს კეთილ სურნელება მისცენ და წვეთ-სასმელშიაც (კაპლებშიაც) ურევენ ნერვებით ავადმყოფთათვის, აგრეთვე ზეთიდგან ამზადებენ აფთიაქებში ვარდის წყალს. უმთავრესად ვარდის ზეთი იხარჯება ლიკიორების მოსამზადებლად, მაგრამ უფრო მეტს კი პარფიუმერიის ქარხნებში ჰხმარობენ. მეტადრე საფრანგეთის ფირმები დიდძალ ვარდის ზეთს ჰხარჯავენ ოდეკოლონის, სხვა და სხვა პომადისა და დუხის მოსამზადებლად, ამათ პირდაპირ მწარმოებლებთან აქვთ საქმე და არა სტამბოლელ ფალსიფიკატორებთან.

საინტერესოა რამდენი წყალი ჩაივლის, ვიდრე ჩვენს სამშობლო ქვეყანაში ჩვენვე შევუდგებით ამ გვარ

---

ჰამილტონს; თვით მინისტრები უვიცნი აღმოჩნდნენ ყოვლის იმისა, რაც სამხრეთ აფრიკას შეეხება.

—საიდგან უნდა გაგვეგო, რომ ტრანსვაალი ასე კარგად იყო მომზადებულიო? სთქვა ლორდთა პალატაში ლორდმა სალისბიურიმ. ჩვენ არა გვაქვს საიდუმლო თანხათათვის საკმაო ფული გადადებული... ამასთან, განაგრძო დიზრაელის მემკვიდრემ, კონსტიტუცია თავისუფალ მოქმედების ნებას არ გვაძლევსო.

ამავე დროს-კი სალისბიურის ამხანაგი მინისტრი ბალფური არწმუნებდა ქვედა პალატას, რომ მთავრობამ მშვენივრად უწყოდა ტრანსვაალის შეიარაღების ამბავიო. ეს კიდევ არაფერი. თავხედმა და მეტიჩარა ჩემბერლენმა, რომელსაც სამართლიანად სთვლიან პატარა რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულობის ავან-ჩავანად, პირდაპირ აღიარა,—მე და მილნერი ამ ხმალ-ამოღებულს პოლიტიკას იმიტომ დავადექით, რომ კარგად ვუწყოდით ეს შეიარაღებაო...

ოპოზიციამ და მოუსყიდველმა ჟურნალ-გაზეთობამ მაშინვე შეამჩნია მინისტრების ასეთი წინაუკმოობა და ხრიკები.

—„უცნაურია, განაცხადა ლორდმა როზბერიმ,—რომ პირველი მინისტრი საიდუმლო თანხის უფულობასა სჩივის იმ დროს, როდესაც ფინანსთა მინისტრის ანგარიშით ამ თანხისა ფული დარჩენიათ დაუხარჯავად“!

—„უფრო უცნაურია ის, განაცხადა გარკვეულმა პალატის წინაშე წარმოთქმულ შესანიშნავ სიტყვაში,—რომ პირველი მინისტრი ინგლისისა პარლამენტში კონსტიტუციის წინააღმდეგ ლაპარაკობს, იმ კონსტიტუციისა, რომელმაც ინგლისი ძლიერ, თავისუფალ და სახელ-განთქმულ სახელმწიფოდ შეჰქმნა... არ მახსოვს, რომ პალმერსტონს, ჯონ როსსელს, ან გლადსტონს კონსტიტუცია დაეწუნებინოთ“.

ხოლო დამოუკიდებელმა ჟურნალ-გაზეთობამ საუბედუროდ, მცირერიცხოვანმა (ამის მიზეზს შემდეგ ვაუწყებთ მკითხველებს),—გადმოშალა იმისი უტყუარი საბუთები, რომ განწეს-რიგებული შეთქმულობა არსებობს საერთა-შორისო ძარცვა-მტაცებელთა, რომელთაც სესილ როდსი ჰმეთაურობს, ხოლო ჩემბერლენი და მილნერი ძმურად მხარს უჭერენ და ეხმარებიან.

ვ. მარ...ელი

## ა ხ ა ლ ი ს ა ქ მ ე

(სურათები სოფლის ცხოვრებიდგან)

(შემდეგი *)

### III

იყვნენ დამსწრეთა შორის რამდენიმე ხანში შესული სულიერი მწყემსნი, მაგრამ იმათ თავიანთი კალო ავად თუ კარგად გაელეწნათ, ჩაეკლოთ, ბურთი და მოედანი მოღვაწეობისა ახალგაზდა მოძღვართათვის დაეთმოთ, გასცლოდნენ საზოგადო სარბიელს, ჯიბით თუ არა, სულიერად გაკოტრებულნი, და საოჯახო კერა გაჰხდომოდათ სალოცავად. ჩვენც სწორედ იმათთან გვაქვს საქმე, რომელნიც ამ ბოლო ხანებში გამოსულან სასპარეზოზედ. მამა ვახტანგი... ჰმ, ამ სახელის გაგონებაზე ყველა მისი ნაამხანაგართაგანი გუნებაში ჩაიცინებს ხოლმე, მაგრამ ჯერ გარეგნობით გავსინჯოთ. მაღალ-მაღალ, მხარ-ბეჭიან მამა ვახტანგს ღიპიც შესაფერი ჰქონდა, თუმცა ჯერ ოც-და-ათის წლისა ძლივს იქნებოდა. დავიწყოთ იქიდგან, რომ საცა რომელსამე სულიერ მამათა კრებაზედ კუჭის საკითხზედ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ან კოდის პურზედ, ან ჯამაგირზედ, ყველა ამ კითხვებს ვახტანგისეულ კითხვებს უწოდებდნენ, რადგანაც ის თავ-მთელი და თავ-გატეხილი სულ ამ რჯულის კითხვების ტრფიალში იყო. „წელს რამდენი კოდი პური აიღე, ბევრი-ღა გაქვს მრევლზე დარჩენილი, წელიწადში რამდენს თუმანს გაასწორებ, თქვენში არ იციან მიცვალებულზე საწირავი, მეკი თითო ძროხა მაქვს გადაკვეთილი“-ო. აი მამა ვახტანგის სულიერი საგძალი, მისი სულის კვეთება. ყველას უსათუოდ ამ კითხვებით მიმართავდა შეხვედრისათანავე. რაც ცხოვრებაში, სემინარიაშიაც იგივე იყო ვახტანგი. არავითარი მაღალი მისწრაფება მას ვერ გაიტაცებდა. იქაც ფულების მოსახვეჭად მედავითნეების თხოვნების დამწერი იყო. აკი ამიტომ მოკლე ხანში ქისაც გაისუქა. ეს იყო მიზეზი, რომ მრევლიც უგულოდ აღმაცერად უყურებდა. „მამაო, ერთ ალილუიას წაილუღლუღებ და მოიტათ ჩქარა, სამი მანეთი უნდა მომცეთო, ჩემი ერთი ფეხის გადადგმა ხუთი მანეთი ღირსო“, „მამა ჩემი იმიტომ დაუხარჯავს ჩემს სწავლაზე ფულები, რომ ეხლა თქვენის ჯანიდგან უნდა ავიღო, გარდა ამისა ჩემი ფეხები მუქთად სარახუნებელი ხომ არა გგონია, მაშ რისათვის გამოუძღვები ხოლმე მკვდარს“, მიუგებდა ხოლმე მამა ვახტანგი, თუ ვინმე მრევლთაგანი შეეკამათებოდა. „მამაო, ერთი აბაზი მომეცი და თუგინდა ერთ ვერსს ზურგით გატარებ“, არ იშლიდა თავისას მოკამათე. „ეგ ყველა, ყველაა, ჩაერეოდა ლაპარაკში მეორე, მაგრამ ე დიდზე და პატარამიცვალებულზე რომ ერთი ნიხრი გაქვთ გადაკვეთილი, ეგ რაღა სამართალია“.—„შენც დიდი გამატა შეილოსა“ და ეშმაკურის ღიმილით ხელებს შეათამაშებდა ხოლმე ვახტანგი. ამის შემდეგ რაღა დარჩენოდათ იმის მეტი, რომ ზიზღით გაეყოლებინენ ხოლმე უკანიდგან თვალებს. სხვა ბევრი საარაკო ზნენიცა სჭირდა მამა ვახტანგის, მაგრამ მეორე, მარჯვე დროისათვის შევინახოთ.

დაბალის ტანის, გამხდარი, ლოყებ ჩაცვივნული მამა ალექსი ვახტანგისეულ ჯურის, სასუდლით დადგინებულ მოძღვართა გუნდს არ ეკუთვნოდა. ამას უყვარდა ცხოვარნი თვისნი, ესეც უყვარდათ ცხოვართა მათ და სიტყვისა მისისა ისმინიან. ამიტომ იყო, რომ მამა ალექსი მეურნეობას მისდევდა, რათა მთლად თავისის ოჯახის შესანახად მრევლს არ დასწოლოდა. ისიც-კი უნდა ით-

*) იხ. „ივერია“ № 47.

ფრიად სასარგებლო და სარგებლიან მცენარეთა კულტურას. ნუ თუ ამათი წარმოება-სარგებლობაც ისე უცილებლად უნდა უცხოელებს დავუთმოთ, როგორც ჩვენის ქვეყნის ბაზარში ვაჭრობა და მრეწველობა დავუთმეთ.

ილ. ალხაზიშვილი

## გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის „შუამავალის“ წარმომადგენელთა კრება 18 თებერვალს 1900 წ.

(წერილი ოზურგეთიდგან)

როგორც 1898 წლის ანგარიშიდგან დავინახეთ, 1897 წლიდგან ამხანაგობას გადმოჰყვა 1898 წელში 407 მ. 12 კ. ვალი, რომელიც, კრების გარდაწყვეტილების თანახმად, შეივსო 1898 წლის მოგებიდგან. არც 1898 წელს ყოფილა ამხანაგობა სანატრელს მდგომარეობაში. თესლი, რომელიც თავართქილაძემ გადმოგვცა, არ გამოდგა სალი, რამაც ამხანაგობის ნდობა შეაფერხა. პარკი ადგილობრივ ერთობ მცირად იყიდებოდა, ხოლო ქვრობაში ფასმა დაიწია და ამხანაგობა რა მოგებასაც ელოდა, ის არ დაურჩა. 1898 წლის განმავლობაში მოიგო მხოლოდ 939 მ. 24 კ., რომლისაგან, როგორც უკვე მოვიხსენეთ, 407 მ. 12 კ. გადაიდო 1897 წლის ზარალის დასაფარავად, და 532 მ. 12 კ. გადმოვიდა 1899 წელში, როგორც მოსავები 1898 წლისა, ქ მიემატა სათადარიგო თანხას. 1899 წელს პატივცემულ თავად მ. მ. ნაკაშიძის მონაწილეობით ამხანაგობა შეუდგა სპირტის ყიდვას. ამ საგნისთვის თავ. ნაკაშიძემ შემოიტანა 21,961 მ. ვიყიდეთ სულ 205,612 გრადუსი სპირტი. გავყიდეთ 21,817 გრ. სპირტი დააკლდა (გაშრა და სიმაგრე მოიკლო) 3,795 გრადუსი. ვყიდულობდით აქვე ოზურგეთში ათიდგან თერთმეტ კაპეიკამდე გრადუსს, თითონ ვყიდდით 11—$11^1/_2$ კაპეიკამდის. გაყიდული სპირტიდგან შემოვიდა 22,819 მ. 94 კ. დაიხარჯა საწყობზედ (ბოჩკები და სხვა) 932 მ. 45 კ., საკაჭრო მოწმობა, მუშის ქირა, ფრახტი და სხვა 817 მ. 19 კ. ფულის სარგებლად მივეცით 429 მ. 44 კ. დარჩა წმინდა მოგება 429 მ. 44 მ. კ., რომლისაგან ნახევარი ნაწილი—214 მ. 72 კ. მიიღო თ. მ. მ. ნაკაშიძემ, 214 მ. 72 კ. დარჩა ამხანაგობას. ამ ანგარიშში არ შედის ინვენტარი.

1899 წლის განმავლობაში ამხანაგობამ იყიდა 2,733 კოლოფი აბრეშუმის თესლი 16,400 მისხალი. მიცემულია 5357 მ. 50 კ. მისხალი საშუალო რიცხვით 33 კ. ავიღეთ გაუყიდულ თესლისაგან 5189 მ. 26 კ., ასაღების წევრსა და სხვათაგან 500 მ. გაუყიდველი დარჩა ორასკოლოფამდის. საანგარიშო წელს თესლს არ უზარალნია, მაგრამ არც მოგება უნახავს. ამხანაგობამ იყიდა ლანჩხუთსა, ოზურგეთსა და დვაბზუში 2946 ფუთი და $30^3/_4$ გირ. ნედლი პარკი, მიცემულია 36,430 მ. 94 კ., ფუთი ნედლი პარკი—საშუალო რიცხვით 12 მანეთი 37 კ. ლანჩხუთში არის ფუთში მიცემული 12 მ. 70 კ., ოზურგეთისა და დვაბზუში 12 მ. 18 კ. გამოვიდა სულ ხმელი პარკი 935 ფ. $13^3/_4$ გ. ფუთ ხმელ პარკს მოუნდა ლანჩხუთში 3 ფ. $7^1/_3$ გ., ოზურგეთსა და დვაბზუში 3 ფ. 3 გ. ივანე სვანიშვილისაგან ვიყიდეთ ხმელი პარკი 214 ფ. $17^1/_2$ გ. ფუთი 52 მ. 50 კ. გაიყიდა ფუთი ხმელი პარკი ადგილობრივ ყაზარმებში 53 მ. 25 კ. გაწმენდა, ტილო, წამლება და მუშის ქირა იყო მყიდველისა. სვანიშვილს მივეცით პარკში 11,260 მ. 93 კ. ამ პარკმა ამხანაგობას დაუტოვა წმინდა მოგება, 160 მ. 50 კ. საერთოდ: ოზურგეთსა, ლანჩხუთსა, დვაბზუში და სვანიშვილზე მიცემულია 48,094 მ. 87 კ., აღებულია საერთოდ პარკში 60,426 მ. 80 კ. ჩვენთვის დასამუშავებლად დავიტოვებთ 15 ფ. პარკი, რომლისაგან 8 ფ. 500 მ. გაგზავნილია მარსელში, დანარჩენი 7 ფუთიდგან 3 ფ 30 გირ. დაიხარჯა საანგარიშო წლის გასვლამდის, 3 ფუთი და 10 გირ. 200 მ. არის პარკად სახელოსნოში, იქვე გვაქვს მაფად დამზადებული 105 მ. და 222 მ. 18 კ. აბრეშუმის ქსოვილები.

სახელოსნოში გვყავს ერთი ადგილობრივი მოხელე ბათუმის სახელოსნო სკოლიდგან და ერთიც მოხელე მოსკოვიდგან გვყავდა, რომელსაც თვეში 55 მ. ვაძლევდით; მაგრამ რადგანაც ეს ჯამაგირი სახელოსნოსთვის აუტანელი იყო და თანაც მოხელე არ გამოდგა—სექტემბერში დათხოვნილ იქმნა; სახელოსნოში ეხლა სწავლობს, ადგილობრივ მოხელის ხელმძღვანელობით, ოცი ქალი და სამი ვაჟი; ამ ბოლო დროს გვარიანადაც შეისწავლეს. საზოგადოდ სახელოსნო ხარჯს არ ჰფარავს ამ პირველ ხანში; სახელოსნოს აქვს სულ მიცემული 893 მ. მარტო მაფი და პარკი. აქედგან გაიყიდა მაფად, პარკად და ქსოვილებად და გვაქვს 633 მ. 18 კ. მარტო მაფისა და პარკის ფასის ამოგებას დააკლდა 259 მ. 82 კ. გარდა იმისა, რომ მოხელეებისა და სხვა ქირა წავიდა 500 მანეთზედ მეტი და ქარხნის მოწყობილებების ღირებულება დააკლდა, საანგარიშო წლის განმავლობაში ამხანაგობამ ააგო ორი მკვიდრი შენობა, პარკის ფარდულები, ლანჩხუთსა და დვაბზუში და შეიძინა ამისთვის საკმაო ტილოები, მოაწყო სახელოსნო სახლი და თვით სახელოსნო, შეიძინა კასსა და სხვა ნივთები, რომლებიც მოხსენებულია ანგარიშში.

თაფლის სანთლის ვაჭრობამ დასტოვა ზარალი 22 მ. და 24 კ. თხილი ძალიან ცოტა ვიყიდეთ, რაც ლაპარაკად არა ღირს.

1900 წ. პირველ იანვრისათვის გვქონდა ნაღდ ფულად 9595 მ. 33 კ. 8 ფ. პარკი, გაგზავნილი მარსელში გასასყიდად, ნაანგარიშევი გვაქვს 500 მ., შეიძლება მეტიც მივიღოთ, პარკი სახელოსნოსთვის დატოვებული 200 მ., მაფად 105 მ., ქსოვილები 222 მ. 18 კ., ასაღები სხვა-და-სხვათაგან 2986 მ. 45 კაპ., ადგილები 3300 მ., შენობები და სხვა შეძენილი ქონება 1896—1899 წლებში 5859 მან. 92 კ. ბათუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში საწევრო 520 მ. 65 კ. ჯამი უდრის 23289 მ. 53 კ. ამისაგან სავეროდ არის შემოსული 11,510 მან. 37 კაპ., სათადარიგო თანხა, 1896—98 წ. წ. 924 მ. 84 კ., მამულები 3300 მ. და წმინდა მოგება საანგარიშო წლისა 7554 მ. 32 კ. შენობებს დაკლებული აქვს ღირებულობის ათი პროცენტი, ტილოებს და სხვას 20—25%.

საანგარიშო წელი ჩაითვლება ამხანაგობის დაარსებიდგან სხვა წლებთან შედარებით, ერთ საუკეთესო მომგებიან წლიწადად; ეხლა შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ამხანაგობა თავისის მცირე თანხის მიუხედავად, კარგს მდგომარეობაშია. მარტო წილის ფულის შემადგენელი, რაც დაარსებიდამ შემოსულა, დღეს ამხანაგობას თითქმის ნაღდ ფულად აქვს და ამაზედ მეტი კიდევ ქონებად, ასე რომ ამხანაგობის ქონება გაორკეცებულია. საანგარიშო წელს ამხანაგობას ხელი შეუშალა, რაც მომავალშიაც მოსალოდნელია, უფულობამ, რის გამო ხარჯიც მეტი წავიდა, მაგ. სამგზავროდ ხშირად ორნი-სამნი და ხან შვიდნი და რვანი დავდიოდით ბათუმში ფულის საშოვრად. დიდი დახმარება გაუწიეს ამხანაგობას ძმებმა: გასო, საშა და მ. თუმანიშვილებმა, გრ. პავლოვმა, იაგორ ჭელიძემ, გიორგი მარგალიტაძემ (აწ გამგეობის წევრმა,) დიმიტრი ცეცხლაძემ, მიხაილ ქადიეშვილმა, დიომიდე კალანდარიშვილმა, რუდენ წუწუნავამ, ვასილ დუმბაძემ, ნიკო გობრონაძემ და ილარიონ შეიშვილმა, უმეტესობამ ამათში თითქმის მთელი თვე თავგამოდებით იმუშავა უსასყიდლოდ, რისთვისაც მადლობის ღირსნი არიან, აგრეთვე დახმარება გაგვიწიეს ვექსილებით ოზურგეთის ვაჭრებმა, ორის სამის კაცის გარდა.

წარმომადგენელთა კრებამ გადასწყვიტა 1899 წლის 7554 მ. 32 კ. მოგებიდგან გადაიდოს:

1, სათადარიგო თანხა 3151 მ. 33 კ., 2, საწარმოებელ თანხად 755 მ. 43 კ. 3, სასწავლო ქარხნის მოსაწყობ გასაუმჯობესებლად 755 მ. 43 კ., 4, სამეურნეო თანხად 755 მ. 43 კ., 5, დივიდენდად წევრთათვის 1381 მ. 30 კ. 6, გამგეობის დასაჯილდოვებლად 755 მ. 40 კ.

X

## ორიოდე სიტყვა გაზ. „С.-Петербург. Вѣд.“-ში დაბეჭდილ წერილის გამო.

ამ ბოლოს დროს გაზეთ „Петербургскія Вѣдомости“-ში ბევრი წერილები იბეჭდება კავკასიის შესახებ, მაგრამ ხშირად ამ წერილებში ისტორიული ფაქტები დამახინჯებული და გადასხვაფერებულია. ერთი ასეთი წერილი, სხვათა შორის, ამას წინად დაიბეჭდა ამ გაზეთში იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდათ სომხებს საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს. ავტორი წერილისა ამტკიცებს, რომ ტფილისში უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ და ამის დასამტკიცებლად ის მოჰყავს, რომ მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, მეფის და მოხელეების თანდასწრებით, ქართულს ეკკლესიაში-კი არა, სომხურში წაიკითხესო. ვინც ისტორიას თვალს გადაავლებს, ადვილად დარწმუნდება, რამდენად მართალია ეს სიტყვები. აი, მაგალითად, რასა სწერს დუბროვინი: „Исторія войны и владычества Русскихъ на Кавказѣ“-ში (მესამე ტომი, გვერდი 372):

„16 თებერვალს, ლაზარევის მოწოდებით, ტფილისის მცხოვრებნი შეიკრიბნენ სიონის ტაძარში წირვის მოსასმენად. წირვის გათავების შემდეგ, ლაზარევმა იქ მყოფთ გამოუცხადა რა მიზეზით იქმნენ მიწვეულნი. შემდეგ ორს ენაზედ—რუსულადა და ქართულად წაკითხულ იქმნა 1800 წ. 18 დეკემბრის მანიფესტი, რომლითაც საქართველო სამუდამოდ რუსეთს შეუერთდა.“

„მეორე დღეს,—განაგრძობს ისტორიკოსი,—კვირას, 17 თებერვალს, იგივე მანიფესტი წაუკითხეს საქართველოს სატახტო ქალაქში მცხოვრებს სომხებს“. ამასთან საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ ამ დღეს მანიფესტი მარტო სომხურად კი არა, თათრულ ენაზედაც წაიკითხეს.

ასევე აღწერენ საქართველოს რუსეთთან შეერთებას სხვა ისტორიკოსნიც. როგორც, მაგალითად, ბობროვსკი თავისს თხზულებაში: „ერევანის რაზმის ისტორია“-ში, მე-3 ნაწ., გვერდი 114:

„მეორე დღეს,—სწერს ბობროვსკი,—16 რიცხვს სიონის ტაძარში შეიკრიბნენ ტფილისის მცხოვრებნი წირვის მოსასმენად. ეგეროთა ბატალიონი ეკკლესიის წინ იდგა გამწკრივებული. წირვის შემდეგ წაკითხულ იქმნა ქართულ და რუსულს ენაზედ 1800 წლის 18 დეკემბრის მანიფესტი, რომლითაც საქართველო სამუდამოდ რუსეთს შეუერთდა. საქართველოს კათოლიკოსმა, ბატონიშვილმა ანტონიმ გარდაიხადა სამადლობელი პარაკლისი. მთელი დღე ზარის რეკვა და ხალხის სიხარული არ შეწყვეტილა. ხალხს უხაროდა, რომ სურვილი აუსრულდა. მანიფესტის გამოცხადებამ მეტად კარგად იმოქმედა ხალხზედ. 1801 წლის 21 თებერვალს ლაზარევი სწერდა კნორინგს: „წელიწადნახევარი აქა ვცხოვრობ და ასეთ სიამოვნებასა და სიხარულს, როგორც ეხლაა, არ მოვსწრებივარ. მანიფესტის მიღების დღიდგან თითქოს ყველაფერი განახლდა და გაცოცხლდა“.

აკადემიკოსი ბროსე საქართველოს შესახებ თავისს გამოკვლევებში (იხ. „Русская Старина“, 1880 წ., ივლისი. გვერდი 375) პირდაპირ იხსენიებს სომეხთა პატრიარქის უკმაყოფილებას უმაღლესის მანიფესტის გამოცხადების დროს. აი თვით ბ-ნ ბროსეს სიტყვები: „მანიფესტის გამოცხადების დროს ყველას სახეზედ სიხარული ეტყობოდა, პატრიარქის გარდა, რომელმაც თავისს გულ უბრყვილობით ვერ დაჰფარა უკმაყოფილება. ეს უკმაყოფილება პატრიარქს სახეზედ შეეტყო“.

გაუგებარი და უცნაურია მხოლოდ ის, თუ „Петерб. Вѣд.“-ში რა აზრით ან ვისთვის ჰბეჭდავენ ტყუილს ცნობებს?

შტაბს-როტმისტრი ბ. ესაძე

# რუსეთი

სამრევლო სკოლების მასწავლებლებს, მოხელეებსავით, თუ ვინიცობაა ჭკუიდგან შეიშალნენ და ჯეროვანს საავადმყოფოებში იმყოფებიან, თავისის ავადმყოფობის პირველს წელიწადს ჯამაგირი ისევე უნდა ეძლეოდეთ.

— ნება დართულია, რომ სემინარიაში სწავლა-დამთავრებულნი მიღებულ იქმნენ ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზედ, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ სხვა ფაკულტეტებზედ გადასვლის უფლება არ მიეცეთ.

— ოდესაში ამ წლის აგვისტოს თვეში დაარსდება სამკურნალო ფაკულტეტი ნოვოროსიის უნივერსიტეტთან.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში აღუძრავთ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საჭიროაო იმ გლეხებს, რომელნიც ქალაქის მკვიდრთა წოდებაში გადადიან, დაეკისროთ გლეხთა წოდებაშივე დაბრუნება, თუ ჰსურთ ისარგებლონ თავისის ძველ საკომლო მიწით, სულ ერთია, გამოსყიდულია უკვე ეს მიწა, თუ არ არის გამოსყიდული; თუ არ მოისურვეს გლეხთა წოდებაში დაბრუნება, ვალდებულ იქმნენ თავისი მიწა თავისის სოფლის საზოგადოების წევრთაგანს ვისმე მიჰყიდონ.

— ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტმა უკვე შეიმუშავა ნორმალური წესდება მუშათა არტელებისა და ამხანაგობათათვის. პროექტს ამ დღეებში წარუდგენენ მინისტრთა კომიტეტს დასამტკიცებლად.

— ზოგიერთ საბირჟო კომიტეტებს შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ შემცირებულ იქმნას ტელეგრამმის გაგზავნის ფასი. კომიტეტების აზრით ასეთი შემცირება ტელეგ-

---

ქვას, რომ მცირე მრევლი ეჭირა და თუ არ მეურნეობა, რა აცხოვრებდა. სათნოებით გამომეტყველ, ჭკვიანურ სახესა და დარბაისლურ მიხვრა-მოხვრაზედ ეტყობოდა მამა ალექსის, რომ ის დიდი აზრები, რომლებითაც სემინარიაში ჰსულგმულობდა, არა თუ არ დაჰვიწყებოდა, არამედ საყვარლად ჰზრდიდა და აფუფუნებდა. ისეთივე ფართო, გამორკვეული შეხედულება ჰქონდა კაცობრიობის შესახებ, მტკიცე, შეურყეველი რწმენა უკეთესის მერმისისა და საზოგადო საქმის გულშემატკივრობა. მამა ალექსის, თავისის ამხანაგებსავით, რომელთაც თბილი, გემრიელი ადგილები ეგდოთ ხელთ, ვერ ეხერხებოდა ათას გვარ ხრიკისა, პირმოთნეობა-ქრთამებისა და ქვემძრომობისათვის მიემართა, რაით უკეთესი მრევლი ეშოვნა, უამისოდ-კი აბა რა გაკეთდებოდა.

—

დაგვრჩა გასაცნობი ერისთავი მიხა პაპაანთი. მიხა ხანში შესული კაცი არ იყო, მაგრამ იმის გადაშლილ, დანაოჭებულ შუბლსა და სახეზედ, ჭაღარა-მორეულ თმაზე ეტყობოდა, რომ მიხას თავის ცხოვრებაში ბევრი ჭირ ვარამი ენახა, თუმცა კი ამ ქარ-ტეხილს იგი წელში ვერ მოეხარა, გული ვერ გაეტეხნა; სამაგიეროდ იმის ლაპარაკიდგან, თვალების გონივრულ შეთამაშებიდგან დაასკვნიდით, რომ ეს დიდის გამოცდილების, ჭკუის პატრონი უნდა ყოფილიყო. შავი, გძელი, კოხტად დაგრეხილი ულვაშები ხომ ამკობდნენ იმის სახეს, მიხა მთელს მაზრაში განთქმული იყო, როგორც ტკბილად მოლაპარაკე, ენა მახვილი მობაასე და მოძღვარსავით დამრიგებელი. სოფელში უამისოდ საქმე არ გაკეთდებოდა, არ გადაწყდებოდა. მთელი დღე უნდა ეყაყანათ სასაფლაოზედ რაიმე საქმის შესახებ, მაგრამ ერთს გადაწყვეტილებას ვერ დაადგებოდნენ. მიხა იჯდა თავისათვის განცალკევებით, აცლიდა ვინ რას იტყვისო, ბოლოს ხელს აიქნევდა იმის ნიშნად, რომ თქვენის ლაპარაკიდგან არაფერი არ გამოდის, მაცალეთ, ეხლა ჩემი ისმინეთო. იმოდენა მოზღვავებული ხალხი ისე გაჩუმდებოდა, „დაიცათ, დაიცათ, მიხა ლაპარაკობს“-ო, რომ ბუზის აფრენა გაიგებოდა. მართლაც მიხას სიტყვა ყველას ჰკუაში დაუჯდებოდა ხოლმე.

ე—ლი

(შემდეგი იქნება)

რამის გადასახადისა არამც თუ სარგებლობას მოუტანს გაჭრობის საქმეს, არამედ დიდ შემოსავალს მისცემს თვით სატელეგრაფო უწყებასაც. ამის დასამტკიცებლად კომიტეტებს რკინის გზების მაგალითი მოჰყავს, შემოსავლმა ერთი-ორად იმატაო.

— გაზეთების სიტყვით, ამ ზაფხულს გამოსცდიან ნოვოროსიისკისა და მოსკოვს შუა ხილის გადასაზიდად მოწყობილ განსაკუთრებულ ვაგონებს. რომ ხილი არ გაფუჭდეს ასეთი მატარებელი ნოვოროსიისკიდგან მოსკოვამდის 83 საათსა და 30 წუთს უნდა მივიდეს ხოლმე.

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

„რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტს საუბარი ჰქონია ერთ ტყვედ წაყვანილ ბურთან, რომელსაც აი რა ულაპარაკნია:

„კრონიე სახსენებელიც არ არის ჟუბერთან. ჟუბერი მართლაც რომ შესანიშნავი სარდალია, კრონიემ კი სახელი დაჰკარგა იმით, რომ მტერთან შებმა გაჰბედა, მიუხედავად იმისა, რომ მის ბანაკში ქალები და ბავშვები იყვნენ. ჟუბერი რომ რესპუბლიკის პრეზიდენტად ყოფილიყო არჩეული, ბურებს და ინგლისელებს მშვიდობიანი განწყობილება ექნებოდათ ერთმანეთ შორის. გენერალი ჟუბერი არაოდეს არ იყო ომის მომხრე“.

იმავე კორესპონდენტის სიტყვით: „ტყვედ წაყვანილ ბურებს ინგლისელები ძალიან თავაზიანად ეპყრობიანო. ინგლისის სალდათები თავიანთ კერძს უნდა უნაწილებდნენ მათ, მიუხედავად იმისა, რომ თითონ მათაც არ ემლევათ დიდი კერძი. ბურებს არ ეგონათ, თუ ინგლისი ამოდენა ჯარს გამოგზავნიდა მათ წინააღმდეგ, ბურებს არა ჰყავთ სათადარიგო ჯარი; ვისაც შეეძლო იარაღის ხელში აღება, ყველანი ბრძოლის ველზედ არიან გასულნი“.

— ერთს გერმანულს გაზეთში შემდეგი წერილია დაბეჭდილი, რომელიც ტრანსვაალიდგან არის გამოგზავნილი:

„ვისაც-კი იარაღის აღება შეუძლიან ხელში, იმის $^3/_5$ იმყოფება ბრძოლის ველზე, მაშასადამე, 60,000 კაცი, ასე, რომ ტრანსვაალს კიდევ სათადარიგო ჯარიც ჰყავს. ყოველდღე მატარებლებს მიჰყავს დასასვენებლად დათხოვნილი ჯარის-კაცები. თუმცა ეს გარეცხებს ემოფილებს, მაგრამ ნამდვილი კია, რომ ჯარის ერთი მეხუთედი მაინც მუდამ დასასვენებლად არის წასული. თუმცა მამაკაცები ჯარში იმყოფებიან, მაგრამ ფერმებში მუშაობა თავისის რიგითა და წესით სწარმოებს. მართალია, საქმე რამდენიმედ ფერხდება, მაგრამ მუშაობა არ შეწყვეტილა, რადგან სამნელო საქმეებს შავკანიანებს აკეთებინებენ მადგრად. საზოგადოდ, იმათ ცხოვრებაში, ვინც შინ დარჩა, არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ყველანი თავიანთ საქმეზე მედიან მუდამ დღე. საზრდოს მხრივ არავითარი ნაკლულევანება არ არის და ჭირნახული ასე იაფად არაოდეს არა ყოფილა, როგორც ესლა არის. კვერცხი, შინაური ფრინველი, მწვანილი და ხილი საკმაოდ ბლომად არის. მართალია, ხორცი ცოტაოდნად გაძვირდა, მაგრამ ეს განგებ მოახდინეს, რადგან ბურებს არ უნდათ საქონლის გაყიდვა. სიმინდი კარგი არის წრეულს და კარგი მოსავლის იმედი აქვთ. მარილი საკმაოდ არის ტრანსვაალში, რაც შეეხება სხვა საქონელს, ტებილეულობის ნაკლებობა შესამჩნევია. ყავა და ჩაი ერთობ გაძვირდა და, განსაკუთრებით, შაქარი, რომლის შოვნა ძნელია. ლუდი-კი საკმაოდ არის და ჯარის-კაცთ ბლომად აძლევენ.“

— „Times“-ის კორესპონდენტის სიტყვით, ლედისმიტის მახლობელ სერის — პიტერსის აღების შემდეგ, ინგლისის ჯარის ერთს ავიცერს ახალგაზრდა 19 წლის ქალი უნახავს, რომელიც სასიკვდილოდ ყოფილა დაჭრილი. სიკვდილის წინ იმ ქალს ულაპარაკნია, რომ მე მეომარ ბურის ცოლი ვარ და, როგორც ბევრი სხვა ქალები, მეც ჯარში ვიყავი, რადგან თოფის სროლა კარგად ვიციო. ქალები თოფებს ვსტენდით სიმაგრეებში ჩვენი ქმრებისათვის და, როცა ერთი თოფი ლაიცლებოდა, მუდამ მზად გვქონდა მეორე გატენილი თოფიო. ასეთია ბურების ჩვეულება, რომელიც შეიმუშავეს წინანდელ ომების დროსო.

## დამავიწყდა

ჭორი, ქვეშუდანობა და სხვათა ქირდვა ყამზედ უარესი სენია: თუ იგი მაგეყარა, გვრდა განიყრი, გინდ პორფიროსანი შეიქმნე.

ლასურიძე

* * *

ზოგიერთი უმსწვილი კაცი, რომ უფრო დიდად გამოჩნდეს, თავისს თავს კოსმოპოლიტად აღიარებს, პატრიოტიზმი ვიწრო რკალად მიაჩნია თავისის მოღვაწეობისთვის. საბრალო ბავშვი! განა უკუდო ხარს სხვის ბუზის მოგერება შეუძლიან?!

ს. ყ—ნი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთი პოლონური გაზეთი შემდეგს ამბავს გადმოგვცემს. ვინმე კ—მა ერთს ბალში ვარშავაში ხელი არ ჩამოართვა თავისს კარგ ნაცნობს ბ.—ნს, თუმცა ბ.—ნმა ხელი გაუწოდა. ამით ნაწყენმა და გაჯავრებულმა ბ.—ნმა მეორე დღეს კ.—ნს სეკუნდანტები გაუგზავნა და დუელში გამოიწვია. კ—ნმა ზრდილობიანად მიიღო სეკუნდანტები, გამოუცხადა, თანახმა ვარ დუელისაო, მაგრამ ბოლოს უთხრა, ძალიან მიკვირს, რომ ასეთ საძაგელ კაცს სეკუნდანტობას უწევთო. სეკუნდანტებმა იწყინეს ეს და იმავე დღეს თავისს მხრით კაცები მიუგზავნეს და დუელში გამოიწვიეს. ბ.—ნმა ამ ახალ სეკუნდანტებსაც იგივე უთხრა, რაც პირველებს და მალე სხვა ახალი სეკუნდანტები მიუვიდნენ. რაღა სიტყვა გავაგრძელოთ, ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ბ.—ნი ოცზედ მეტმა კაცმა გამოიწვია დუელში.

* * *

პარიჟში ამას წინად დაიბეჭდა ახალი წიგნი ამ სათაურით: „ამერიკელი მილიარდერები.“ ეს წიგნი საოცრად იყიდება თურმე. წიგნში ამერიკელ მილიარდერთა ცხოვრებაა აწერილი, აგრეთვე ის, თუ ამ მილიარდერებმა როგორ შეიძინეს თავიანთი უთვალავი ქონება. წიგნში ამას გარდა მრავალი სურათია მილიონერებისა, მათის ცოლებისა და შვილებისა.

* * *

ამ რამდენისამე თვის წინად ვინმე მატიას დუნმა ერთ ჟურნალში წერილი დაბეჭდა. დუნი ამტკიცებდა ამ წერილში, რომ თევზებს გრძნობათა შვიდი ორგანო აქვთო და ლაპარაკი მათაც იციანო. ეხლა ამასვე ამტკიცებს პროფესორი კელლიკერი, რომელიც ნიაპოლის ზოოლოგიურ სადგურში მუშაობს. ამ პროფესორს ჩაუცვამს ერთგვარი ტანისამოსი, რომელსაც წყლის ქვეშ მცურავნი იცვამენ, ჩამჯდარა რკინის გალიაში და მოკიდებულ ფარნით ზღვაში ჩასულა. თან პროფესორს ფონოგრაფი წაუღია. ზღვის ძირზედ ჩასვლისათანავე აუარებელი თევზები შემოჰხვევიან გალიას. პროფესორს ფონოგრაფით ყური დაუგდია და დარწმუნებულა, რომ თევზებს ხმის ამოღება და ლაპარაკი შესძლებიათ.

* * *

საოცარი ცრუ-მორწმუნე ყოფილა თურმე ფელდმარშალი რობერტსი, ინგლისის ჯარის მთავარ-სარდალი სამხრეთ აფრიკაში. რობერტს, მაგალითად, საშინლად ჰშინებია კატებისა, რომლის ერთი დანახვაც-კი კანკალს დააწყებინებს ხოლმე.—ცუდადა მაქვს დაცდილი, ამბობს თურმე ასეთ შემთხვევაში გენერალი რობერტსი. ავღანის ომის დროს, ერთხელ, როდესაც რობერტსი, აფიცრებითა და გენერლებით გარს შემოხვეული, მაღლობიდგან ბრძოლის ველს დაჰყურებდა, რობერტს იქვე მახლობლად რაღაც დანგრეულ შენობის თავზედ კატა დაუნახავს. გაფითრებულ გენერალს კანკალით ხელი გაუშვერია კატისკენ და უთქვამს აფიცრისთვის, გააგდეთო. მეორედ, მანდელხში, რობერტსთან ადიუტანტი მისულა. ორივენი კლუბში უნდა წასულიყვნენ. ადიუტანტი განცვიფრებულა, როდესაც შესვლისას გაყვითლებული და ფერ-წასული გენერალი დაუნახავს. თურმე ნუ იტყვით, ოთახში საიდგანღაც კატის კნუტი შეპარულა და რობერტს იმისი შეჰშინებია. გაშეშებული გენერალი შუა ოთახში იდგა თურმე და არ იცოდა რა ექმნა. ადიუტანტს მაშინვე გაუგდია კნუტი და რობერტსიც დამშვიდებულა. სიკვდილისა არ ეშინიან თურმე ამ მამაც გენერალს ისე, როგორც კატისა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 მარტი

**ვიქტორ ვესტი.** ფოსბერგის ფოსტის უფროსი აქ მოვიდა. იმისი კანტორა ბურებმა და მეამბოხეებმა დაიჭირეს. ყოველ დღე აქ კენგარდტიდგან, ფრეიბურგიდგან და სხვა ოლქებიდგან უკმაყოფილონი მოდიან. ხმა დადის, რომ მალე ბურები მოვლენო.

**ლონდონი.** გლენკოსთან მყოფ ბურების ბანაკიდგან იუწყებიან 2 მარტს, რომ ბაგგარსის მთებთან ახალი სიმაგრეები გამართეს ბურებმა და ამ სიმაგრეების წყალობით პოზიცია მიუდგომელი გახადესო.

**პრეტორია.** ოფიციალურად უარჰყვეს ის ხმა, ვითომ მეფეკინგი განთავისუფლებულ იქმნაო. 2 მარტს მოდდერ-რივერიდგან აქ მოვიდა ბურების ჯართან მყოფი ამერიკის სამხედრო აგენტი რეიხგანი, რომელმაც განაცხადა, რომ ის ხმა, ვითომ ჰოლანდიის სამხედრო აგენტი დაჭრილია, საფუძველს მოკლებულიაო; საფრანგეთის აგენტი-კი მართლა მსუბუქად არის დაჭრილი.

**კაპშტადტი.** ბურების წმ. ელენეს კუნძულზედ გადაყვანა გადადებულ იქმნა, რადგანაც 70 ამ ტყვეთაგანი ავად გახდა. გაზეთების სიტყვით, ტრანსვაალის ჯარი წმ. ელენეს კუნძულზედ იქმნება გაგზავნილი, ხოლო ორანჟეს რესპუბლიკის ჯარი სიმონსტაუნში დარჩება ახალ განკარგულებამდე. ტრანსვაალელ და ორანჟიელ ტყვეებს შორის ისეთი უთანხმოება მოხდა, რომ განსაკუთრებული ზომები იქმნა მიღებული უწესოების თავიდგან ასაცდენად.

**კაპშტადტი.** ლონდონიდგან „Berl. Neu. Nochric.“-ს ატყობინებენ, რომ არსებობს ახალი პროექტი, რომლითაც საფრანგეთმა მადაგასკარი უნდა დაუთმოს ინგლის; ამის ნაცვლად საფრანგეთს ნება მიეცემა მაროკკო დაიჭიროს. ამ პროექტის განხორციელებას ის უშლის ხელს, რომ ინგლისი სეუტს თხოულობს.

**პრეტორია.** ტრანსვაალის ცნობათა მომკრებ ბიუროს უფროსი იუწყება, რომ მოკავშირეთ კიმბერლეისა და ლედი-სმიტის განთავისუფლებამდე მოუკლეს 677 კაცი და დაუჭრეს 2129. უბედურ შემთხვევათა გამო მოკლულ იქმნა კიდევ 24 კაცი, დაჭრილ 171; ავადმყოფობით გარდაიცვალა 99, მორჩა—1251 კაცი. სულ ამ რიგად ბურებმა დაჰკარგეს 4351 კაცი.

**ლორენცო-მარქეზე.** 5 მარტი. მეფეკინგიდგან დეპეშით იუწყებიან 26 თებერვალს, რომ იქაური მცხოვრებნი ჯერ მაგრა არიანო.

**ბლუმფონტეინი.** 5 მარტი. 800 ორანჟელი ბური გენერალ პოლკერსის დაემორჩილნენ.

**ლონდონი.** რობერტსის დეპეშა, 5 მარტს გამოგზავნილი, იუწყება: „აქ მოვიდა გუშინ გვარდიის ბრიგადა ნორვალსპონტიდგან. მრავალნი ბურგერნი იარაღს თავს ანებებენ. ბელმონტში ერთი მიტრალიოზა და ერთიც სხვა ზარბაზანი ხელთ ჩავიგდეთ. ერთი სხვა ზარბაზანი კოლსბერგში მყოფმა ჯარის უფროსმა წაართვა მტერს. კავალერიის ბრიგადა ტაბანკაში წავიდა ხალხის დასამშვიდებლად და ჩემ მიერ გამოცემულ პროკლამაციის დასარიგებლად ხვალიდგან დაიწყობა მატარებლების წესიერი მოძრაობა ბლუმფონტენსა და კაპს შორის. მეტუენის ჯარი 3 მარტს მოვიდა აქ და მტერს ნება არ მისცა ხიდი დაექცია და მდ. ვაალზედ ფონი დაეჭირა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ახალციხის ქართულ წიგნთსაცავისა და სამკითხველოს სასარგებლოდ 23 იანვარს გაიმართა აქ ქართული წარმოდგენა. ბილეთების გაყიდვით შემოვიდა 118 მ. 91 კ. დაიხარჯა: 1) სახლის ქირა- 10 მან.; 2) მარკებში 9 მან. 46 კ., 3) დალაქს—3 მან.; 4) მესტამბეს—3 მან. 50 კ.; 5) მეზურნეებს—3 მან., და 6) განათება-გათბობა, მუშებს, დარაჯებს, ქალაქის გზირებს და სხვა წვრილმანი ხარჯი—5 მ. 66 კ., სულ დაიხარჯა 34 მან, 62 კაპ., ასე რომ წიგნთსაცავის სასარგებლოდ წმინდა შემოსავალი დარჩა 84 მან. 29 კაპ.

წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს: ქ-ნებმა ე. დ. სავანელმა, ა. ნ. მამცელიძემ და ა. ვ. ფედოტოვმა, ბ-ბმა ვ. ა. კორინთელმა, ვ.ბ. ბეზირგნიშვილმა, მ. ს. დურგლიშვილმა, ნ. გ. ასათიანმა, გ. ა. მეფისაშვილმა და გ. ბ. წიგნთსაცავის სამზრუნველო დიდ მადლობას მოახსენებს ყველა აქ დასახელებულთ. მადლობას მოვახსენებთ აგრეთვე ყველას, ვინც დახმარება-შემწეობა აღმოგვიჩინა ამ წარმოდგენის გამართვის დროს.

სამკითხველო-წიგნთსაცავის გამგე
კონსტანცია მეფისაშვილი


# განცხადებანი

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის
**სამზრუნველო საბჭო**

სთხოვს იმათ, ვისაც ჰსურს მიჰყიდოს საბჭოს ადგილი, ზომით 1000-დგან 2500 ან მეტ ოთხ-კუთხ საჟენამდე საკომერციო სასწავლებლის შენობისათვის, წერილობით განცხადება შეიტანოს საბჭოს კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა, № 1) 1 აპრილამდე. განცხადებაში ფასიც უნდა იყოს აღნიშნული.

(8—6.—2)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე“**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან ლამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელმისაწვდენია:** დიდი ქილა — 2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიეკო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში— ერევნის მოედ. სააფთიეკო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიეკო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—83)

**რადგანაც განვიზრახე მოვსპო სამეურნეო მანქანებით ვაჭრობა, აგრეთვე გავაუქმო მაღაზია,** რომელიც მიხეილის პროსპექტზედ, №№ 79-ა და 79-ბ, საკუთარ სახლშია, ამიტომ ვნიშნავ 6 მარტისათვის საზოგადო გაჭრობას ყველა ნივთებისას. გაიყიდება შემდეგი ნივთები: წყლის ამოსაღები, სანიავებელი, ხორბლისა და ბამბის საწმენდი მანქანები, გუთნები, ღვინის საწურავები, სამკალი მანქანები, ტყავის ნაწარმოები, დანები, მაკრატლები, ლამფები და სხვა.

ყველა ნივთები ნაღდ ფულზედ გაიყიდება, საფქვავ და თვით-მოსიარულე ომნიბუსის გარდა, რომლების ფასიც შეიძლება მყიდველმა ნაწილ-ნაწილ შემოიტანოს.—მაღაზია, საწყობი და სარდაფი ქირით იძლევა.—აზრადა მაქვს შემდეგში მხოლოდ იჯარები ავიღო და მსურველთათვის მანქანები და სხვა და სხვა საქონელი გამოვიწერო. ჩემი კანტორა მოთავსებული იქმნება ჩემის სახლის ეზოში მიხეილის პროსპექტზედ.

(10—6.—2) ვ. ა. კრაუზე.

**ტფილისის ქალაქის**
გამგეობა

აცხადებს, რომ 20 მარტს, შუადღის 12 საათზედ, იმის თ ნადასწრებით, მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაცემული იქნება ოთხი დუქანი. ეს დუქნები ბაზრის ქუჩის ბოლოშია, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გაისინჯონ გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე 9-დგან 2 საათამდე. (3—6.—2)